

**პროდუქტის დაფინანსების მიზნით თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების
ძირითადი პირობები**

ტერმინთა განმარტებები	3
განცხადებები და გარანტიები	3
ხელშეკრულების ძირითადი პირობები	4
მომსახურების დამატებითი პირობები.....	4
მომსახურების საკომისიო	5
მხარეთა უფლება-მოვალეობები	5
კომუნიკაცია.....	6
მხარეთა პასუხისმგებლობა.....	6
ხელშეკრულების მოქმედება და მოქმედების შეწყვეტა	6
კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა.....	7
პრეტენზიები და დავები	8
სხვა პირობები.....	8

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭება შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1.1. ანგარიში - ბანკში არსებული მიწოდების საბანკო ანგარიშ(ებ);
 - 1.1.2. ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/ნ: 203828304), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 1.1.3. განაცხადი - ბანკის მიერ მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის, მათ შორის მომსახურების ობიექტების ან/და ელექტრონული არხების (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, USSD მენიუ და სხვა), გამოყენებით შექმნილი და კლიენტისთვის მიწოდებული წერილობითი ან ციფრული ინფორმაცია, რომელსაც ეთანხმება კლიენტი ქმედებით (მაგ. ლილაკზე დაჭერით, მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მიღებით/გაგზავნით, დოკუმენტის გაგზავნით, თანხის გადარიცხვით და ა.შ.) რაც ადასტურებს მის (კლიენტის) ნებას და ითვლება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.
 - 1.1.4. განაცხადი - ბანკის მიერ კლიენტზე მიწოდების პროდუქტის შექმნის მიზნით გაცემული კრედიტი;
 - 1.1.5. გარიგება - მიწოდებელსა და კლიენტს შორის დადებული გარიგება პროდუქტის შექმნის თაობაზე, რომლის ღირებულების სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული განაცხადის მეშვეობით;
 - 1.1.6. გარიგების თანხა - ფულადი თანხები, რომლებიც დადებული გარიგებებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილი უნდა იქნას მიწოდებისთვის მომხმარებლის მიერ შექმნილი საქონლის ღირებულების ასანაზღაურებლად;
 - 1.1.7. ინტელექტუალური პროდუქტი - არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის მიმართაც არსებობს კანონმდებლობის საფუძველზე ინტელექტუალური სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები.
 - 1.1.8. კლიენტი - საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელთანაც ბანკი აფორმებს საკრედიტო ხელშეკრულებას მიწოდების მიერ შემოთავაზებული ნივთის ან/და სერვისის შექმნის/მიღების მიზნით;
 - 1.1.9. კრედიტი - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ბანკის მიერ კლიენტისთვის გასაცემი/გაცემული ნებისმიერი ტიპის კრედიტი/სესხი, მათ შორის, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი და ა.შ.;
 - 1.1.10. კონფიდენციალური ინფორმაცია - თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების ხელმოწერის ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის ან/და კლიენტის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია კლიენტის პერსონალური მონაცემების, ბანკთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულების ან/და სხვა ნებისმიერი სახის ინფორმაცია) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
 - 1.1.11. მიწოდებელი - ხელშეკრულებით ასეთად განსაზღვრული პირი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს;
 - 1.1.12. მხარე/მხარეები - ბანკი ან/და მიწოდებელი კონტექსტის შესაბამისად;
 - 1.1.13. ნივთობრივად უნაკლო - პროდუქტი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შესაბამის შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ პროდუქტი ნივთობრივად უნაკლოა, თუკი იგი ვარგისია შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ამასთან, ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, მიწოდების მიერ კლიენტის მოთხოვნისგან/ხელშეკრულებისგან განსხვავებული ან უფრო ნაკლები რაოდენობის პროდუქტის მიწოდება;
 - 1.1.14. პერსონალური მონაცემი - განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გულისხმობს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.
 - 1.1.15. პირგასამტეხლო (ჯარიმა) - ხელშეკრულებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც შესაბამის მხარეს წარმოეშება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად;
 - 1.1.16. პროდუქტი - ნებისმიერი პროდუქტ(ებ)ი/მომსახურება, რომელსაც მიწოდებელი შესთავაზებს კლიენტს(ებ)ს;
 - 1.1.17. საბანკო პროდუქტი - ნებისმიერ ფინანსური ინსტიტუტისგან/ორგანიზაციისგან მისაღები/მიღებული სესხი ან სესხის ნებისმიერი ნაირსახეობა, კრედიტი, საბანკო გარანტია, აკრედიტივი, ნებისმიერი სახის დოკუმენტური ოპერაცია, სავალუტო ოპერაცია, ფაქტორინგი ან/და სხვა საფინანსო პროდუქტი ან/და ნებისმიერი საკრედიტო მოთხოვნა, რასაც ბანკი თავისი შეხედულებით განსაზღვრავს საბანკო პროდუქტად;
 - 1.1.18. საკომისიო - მიწოდების მიერ ბანკისათვის, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული კრედიტის გაცემის ფარგლებში გადასახდელი საკომისიო;
 - 1.1.19. საკრედიტო ხელშეკრულება - ხელშეკრულება კრედიტის თაობაზე, რომელიც ფორმდება ბანკსა და კლიენტს შორის მიწოდების მიერ შეთავაზებული ნივთის ან/და სერვისის შექმნის/მიღების მიზნით;
 - 1.1.20. უფლებრივად უნაკლო - პროდუქტი, რომლის მიმართ მესამე პირ(ებ)ს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე სახის უფლებები მიწოდების წინააღმდეგ ან/და წარუდგინონ მიწოდებელს პრეტენზია აღნიშნული უფლებების გამო;
 - 1.1.21. ხელშეკრულება - მხარეთა შორის გაფორმებული პროდუქტის დაფინანსების მიზნით თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობები, მის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ი, დანართის ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2. განცხადებები და გარანტიები

- 2.1. მიწოდებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
 - 2.1.1. წარმოადგენს უფლებასმქონე პირს და ქმედუნარიან და ქმედუნარიან პირს, რომელსაც ხელშეკრულების დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);
 - 2.1.2. ხელშეკრულების დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან (მათ შორის მიწოდების იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან, მიწოდების დებულებებთან, წესდებებთან, გადაწყვეტილებებთან, სადამფუძვნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო/სამართლებრივი ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე შევილებს უფლებას;
 - 2.1.3. ხელშეკრულების დადების თარიღისათვის მისთვის არ არის ცნობილი ფორს-მაჟორის არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვადამოსული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას;

- 2.1.4. მიწოდებელი მოპასუხის ან მესამე პირის სახით არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 2.1.5. წარმოადგენს გადახდისუნარიან პირს, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 2.1.6. ხელშეკრულების დადების მიზნით, ზანკისათვის წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები (მათ შორის ერთმნიშვნელოვანად წესდება, სადამფუძნებლო დოკუმენტ(ებ)ი, დავალება (მინდობილობა) და სხვა) წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;
- 2.1.7. მიწოდებელი არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას (მათ შორის, მიწოდებლის რეზიდენტი ქვეყნის იურისდიქციის კანონმდებლობას) და არ იყენებს თავის საქმიანობაში (მათი თანხმობის ან/და შესაბამისი ნებართვის გარეშე) არასრულწლოვანს ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შრომას.
- 2.1.8. ხელშეკრულების დადებისას ზანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, მიწოდებლის ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, ზანკს არ უსარგებლია მიწოდებლის მიმდე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად ზანკის საბაზრო ძალაუფლება.
- 2.2. მიწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ზანკს ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულებაში მითითებული განცხადებებისა და გარანტიების ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.
- 2.3. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებას დებენ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით და თვლიან მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული განცხადებების და გარანტიების დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს ზანკის მიერ ხელშეკრულებაზე ცალმხრივი უარის სათქმელად.

3. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით, ზანკი მიმართავს მაქსიმალურ ძალისხმევას ზანკის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის შემთხვევაში, სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსოს კლიენტის მიერ მიწოდებლის პროდუქტ(ებ)ის შექმნა კრედიტით. ამ მიზნით ზანკი უფლებამოსილია გასცეს კლიენტ(ებ)ზე კრედიტ(ებ)ს, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს მიწოდებლის მიერ შეთავაზებული პროდუქტის შექმნა;
- 3.2. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, განვადებით სარგებლობის მიზნით მიწოდებელი ვალდებულია კლიენტს გადასცეს მხარეთა შორის შეთანხმებული ფორმით შედგენილი ინვოისი, სადაც მინიმუმ მითითებული იქნება კლიენტის მიერ შესაძენი პროდუქტის დასახელება და ღირებულება;
- 3.3. კლიენტის მიერ განვადებით სარგებლობის სურვილის გამოთქმის შემთხვევაში, იგი ზანკის მიერ განსაზღვრული ფორმით მიმართავს ზანკს, რის შემდეგ ზანკი განიხილავს კლიენტისათვის კრედიტის გაცემის საკითხს, დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- 3.4. კლიენტისთვის შესაბამისი კრედიტის გაცემა ხდება მისი გადამხდელუნარიანობის ანალიზის საფუძველზე;
- 3.5. მიწოდებლისთვის ცნობილია, რომ კრედიტის გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ ზანკის ნებაზე. კლიენტის მიერ განვადებით სარგებლობის თაობაზე ზანკისთვის მიმართვა, მათ შორის, განაცხადის შევსება არ ავალდებულებს ზანკს ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს მოთხოვნილი კრედიტი, ის მხოლოდ განსაზღვრავს განვადების გაცემის ზოგად პირობებს;
- 3.6. განვადებით პროდუქტის შექმნის შემთხვევაში, პროდუქტი გაყიდულად ჩაითვლება მხოლოდ განვადებით დაფინანსებული შესაბამისი თანხის მიწოდებლის ანგარიშზე ასახვის შემდეგ;
- 3.7. იმ შემთხვევაში, თუ განვადების თანხა სრულად არ ფარავს პროდუქტის ღირებულებას და პროდუქტის შექმნა ხორციელდება კლიენტის თანამონაწილეობით (თანამონაწილეობა-პროდუქტის საფასურის ის მოცულობა, რაც არ ფინანსდება განვადებით), მიწოდებელი ვალდებულია თავად უზრუნველყოს კლიენტისგან პროდუქტის დარჩენილი ღირებულების მიღება;

4. მომსახურების დამატებითი პირობები

- 4.1. კლიენტისთვის საბანკო პროდუქტების შეთავაზება/რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მიწოდებელი იღებს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად:
 - 4.1.1. მიწოდებლის მფლობელობაში არსებულ მომსახურების ობიექტებში გამოყოს სივრცე ზანკის წარმომადგენლის განთავსებისთვის, საიდანაც ზანკის წარმომადგენელს შესაძლებლობა ექნება განახორციელოს კლიენტისთვის საბანკო პროდუქტების შეთავაზება/რეალიზაცია; ზანკის წარმომადგენლის არყოფნის დღეს (მათ შორის, თუ მხარეები შეთანხმდნენ ზანკის წარმომადგენლის არ განთავსების თაობაზე), მიწოდებელი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტისთვის სასურველი, ასევე, უახლოეს მანძილზე მდებარე ზანკის ფილიალისა და ზანკის სხვა წარმომადგენლის სამუშაო სივრცის ადგილმდებარეობის თაობაზე;
 - 4.1.2. ზანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მიწოდებლის მფლობელობაში არსებულ მომსახურების ობიექტებში მისცეს ზანკს ზანკის ინვენტარის ან/და მარკეტინგული მასალის განთავსების უფლება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებლის მფლობელობაში არსებულ მომსახურების ობიექტებში განლაგებული ზანკის ინვენტარი ან/და მარკეტინგული მასალა შეიცავს ზანკის ინტელექტუალურ პროდუქტს, აღნიშნული რჩება ზანკის საკუთრებად როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე ვადის ამოწურვის შემდეგაც. მიწოდებელს არ აქვს ზანკის ინტელექტუალური პროდუქტის შეცვლის/გადაკეთების, ხელშეკრულებისგან განსხვავებული მიზნით გამოყენების ან/და მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემის უფლება;
 - 4.1.3. არ შეაფერხოს ზანკის წარმომადგენლის მიერ კლიენტისთვის საბანკო პროდუქტების შეთავაზების/რეალიზაციის პროცესი;
 - 4.1.4. მოუფრთხილდეს ზანკის წარმომადგენლ(ებ)ის მატერიალურ დასაცავს მათი უსაფრთხოება.
 - 4.1.5. უზრუნველყოს მომსახურების ობიექტებში ინტერნეტ კავშირის ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამართული მუშაობა, ხოლო აღნიშნული კომუნიკაციის საშუალებების ფუნქციონირების შეფერხებისას, შეფერხების დროული და სათანადო აღმოფხვრა;
 - 4.1.6. თუ მიწოდებელი დააფიქსირებს ზანკის წარმომადგენლის მიერ რაიმე სახის ისეთ დარღვევას, რაც საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს მიწოდებლის ან/და ზანკის საქმიანობას, შეატყობინოს ზანკს აღნიშნულის თაობაზე;

- 4.1.7. უზრუნველყოს **ბანკი მიმწოდებლის** მომსახურების ობიექტ(ებ)ში განთავსებული **ბანკის** წარმომადგენლებისთვის კონტროლის ჩატარებისათვის საჭირო პირობებით და არ დაუშვას აღნიშნული საკონტროლო ღონისძიებების შეფერხება, საკონტროლო ღონისძიებების თაობაზე **ბანკის** წარმომადგენლ(ებ)ისთვის წინასწარ ცნობება ან/და სხვა ისეთი ქმედება რაც ხელს შეუშლის **ბანკის** წარმომადგენლ(ებ)ის მიერ ვალდებულებების შესრულების სათანადო კონტროლს.
- 4.1.8. დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** მომსახურების ობიექტის გაუქმების/ცვლილების ან/და სხვა ისეთი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წინამდებარე პუნქტის შესაბამისად **კლიენტისთვის საბანკო პროდუქტების** შეთავაზება/რეალიზაციაზე;
- 4.2. თუ **მხარეები** სხვაგვარად არ შეთანხმებინან, **მიმწოდებელი** ვალდებულია არ დაუშვას **ბანკის ინტელექტუალური პროდუქტის** უნებართვო გამოყენება, გარდა წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მიზნებისა.
- 4.3. **მიმწოდებელი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, **ხელშეკრულების** შესრულების ნებისმიერ ეტაპზე გააკონტროლოს **ბანკის** წარმომადგენლების მიერ **კლიენტისთვის საბანკო პროდუქტების** შეთავაზების/რეალიზაციის პროცესი;

5. მომსახურების საკომისიო

- 5.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია ნებისმიერი გაყიდული **პროდუქტიდან**, რომელიც დაფინანსებულია **ბანკის კრედიტით** გადაუხადოს **ბანკს საკომისიო** შეთანხმებული ოდენობით.
- 5.2. **კრედიტის** საფუძველზე დაფინანსებული **მიმწოდებლის პროდუქტ(ებ)ის** ან მისი ნაწილის ღირებულება ავტომატურად ჩაირიცხება **კლიენტის ბანკში** გახსნილ ანგარიშზე, საიდანაც ავტომატურად გადაირიცხება **ხელშეკრულებაში** მითითებულ **მიმწოდებლის** ანგარიშზე. ამასთან, **ბანკი მიმწოდებელს ბანკის კრედიტით** დაფინანსებული **პროდუქტ(ებ)ის** ღირებულებას ჩაურიცხვას ამ მუხლით განსაზღვრული **საკომისიოს** გამოკლებით.
- 5.3. იმ შემთხვევაში თუ **მიმწოდებელს** არ გააჩნია **ბანკში ანგარიში** ან/და რაიმე მიზეზით შეუძლებელია **ბანკისთვის** გადასახდელი **საკომისიოს** ან სხვა გადასახდელის **მიმწოდებლის ანგარიშიდან** ავტომატური ჩამოწერა, **ბანკი** უფლებამოსილია **მიმწოდებელს** გაუგზავნოს შესაბამისი ინვოისი **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების მითითებით. **მიმწოდებელი** ვალდებულია მომსახურების საკომისიო გადაიხადოს არაუგვიანეს შესაბამისი ინვოისის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;
- 5.4. **მიმწოდებლის** მიერ მომსახურების **საკომისიოს** გადაუხდელია **ბანკს** ანიჭებს უფლებას შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს **მიმწოდებლის პროდუქტის** შეძენის მიზნით **კლიენტებზე კრედიტ(ებ)ის** გაცემა;
- 5.5. **მიმწოდებელი** ვალდებულია **კლიენტ(ებ)ისთვის** არ დააწესოს რაიმე სახის დამატებითი საკომისიო/საფასური ან/და სხვა ხარჯი **ბანკისთვის** მომსახურების **საკომისიოს** ანაზღაურების მიზნით, თუ **მხარეები** სხვაგვარად არ შეთანხმდებიან;
- 5.6. **მიმწოდებლის** მხრიდან **ბანკის** მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება **ბანკის** მიერ **მიმწოდებლის ანგარიშიდან** თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად, მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოიჭრება წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების **საკომისიო**;
- 5.7. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთპიროვნულად განსაზღვროს **მიმწოდებლის** მიერ **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის სხვა თანმიმდევრობა;
- 5.8. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საკომისიოს ოდენობა და გადახდის პრინციპი/პერიოდულობა, **მიმწოდებლისთვის** 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, ამასთან:
- 5.8.1. თუ **მიმწოდებელი** არ ეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ საკომისიოს ცვლილებების ამოქმედების თარიღამდე, უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა;
- 5.8.2. თუ **ბანკი** მომსახურების საფასურის ცვლილების ამოქმედების თარიღამდე **მიმწოდებლისგან** არ მიიღებს **ხელშეკრულების** შეწყვეტის თაობაზე შეტყობინებას, ჩაითვლება რომ **მიმწოდებელი** ეთანხმება საკომისიოს ცვლილებას და **ხელშეკრულების** მოქმედება გაგრძელდება შეცვლილი ტარიფებით (**საკომისიოთი**).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 6.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:
 - 6.1.1. **მიმწოდებლის** ანგარიშზე 5.2 პუნქტით განსაზღვრული თანხის ჩარიცხვიდან, **კლიენტის** მიმართვისას დაუყოვნებლივ უზრუნველყოს **კლიენტისთვის** შეძენილი **პროდუქტის** მიწოდება.
 - 6.1.2. **კლიენტს** გადასცეს **ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო პროდუქტი**;
 - 6.1.3. დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს კლიენტის** პრეტენზიების ან/და ნებისმიერი სხვა სადავო საკითხის წარმოშობის თაობაზე (**პროდუქტის** ხარისხი, საგარანტიო პირობების შესრულება, ფასდაკლებების სისტემა და სხვა), რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წინამდებარე **ხელშეკრულების** შესრულებაზე ან **მხარეთა** ვალდებულებებზე;
 - 6.1.4. გადაუხადოს **ბანკს** საკომისიო წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** თანდართული ტარიფების შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 6.1.5. **მიმწოდებელი** ვალდებულია არ დაუშვას **ბანკის ინტელექტუალური პროდუქტის** უნებართვო გამოყენება, გარდა წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მიზნებისა;
 - 6.1.6. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე **ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტთან** დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის, მათი **პერსონალური მონაცემები**, ინფორმაცია **კლიენტ(ებ)ის** მიერ **საბანკო პროდუქტ(ებ)ით** სარგებლობის ან/და ამგვარ სარგებლობაზე ინტერესის გამოხატვის თაობაზე ან/და ნებისმიერი სხვა მონაცემი/ინფორმაცია) კონფიდენციალურობა. **მიმწოდებლის** მიერ კონფიდენციალურობის ვალდებულების ნებისმიერი ფორმით დარღვევის გამო **ბანკისთვის** მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია **მიმწოდებელი**.
- 6.2. **ბანკი** ვალდებულია:
 - 6.2.1. წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული წესების შესაბამისად უზრუნველყოს **მიმწოდებლის** ანგარიშზე **პროდუქტის** შესაბამისი საფასურის ჩარიცხვა;
- 6.3. **ბანკი** უფლებამოსილია:
 - 6.3.1. ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას **კლიენტს განვადების** გაცემაზე;

- 6.3.2. საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად კლიენტის მიერ შეძენილ პროდუქტზე გააფორმოს გირავნობის ხელშეკრულება;
- 6.3.3. მიწოდების ბანკში გახსნილი ანგარიშიდან უაქცივტოდ ჩამოჭრას წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ჩარიცხული პროდუქტის საფასური იმ შემთხვევაში თუ მიწოდებელი დაარღვევს ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას ან კლიენტი არ მიიღებს პროდუქტს ნებისმიერი სხვა მიზეზით;

7. კომუნიკაცია

- 7.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს მხარეს ხელშეკრულებაში ან/და ბანკთან არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების) ან/და ბანკის მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:
 - 7.1.1. მიწოდებლის მიერ ბანკისათვის პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ბანკის კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, ბანკის მიერ მიწოდებლისთვის მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;
 - 7.1.2. ბანკის მიერ მიწოდებლის კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მიწოდებლისთვის ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში მიწოდებლის მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;
 - 7.1.3. ბანკის მიერ მიწოდებლისთვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მიწოდებლისთვის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს, ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;
- 7.2. იმ შემთხვევაში თუ მიწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს ბანკს ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება მიწოდებლის მისამართზე არყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, ბანკის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 8.1. მხარეები კანონით გათვალისწინებული წესით პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების არაჯეროვანი შესრულებისას ან/და დარღვევისას;
- 8.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
- 8.3. მიუხედავად ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზღვრული გარანტიისა, მიწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, მიწოდებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:
 - 8.3.1. მიწოდებლის ნებისმიერი სახის ბანკში არსებული ანგარიშიდან უაქცივტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;
 - 8.3.2. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცივტოდ ჩამოწეროს მიწოდებლის ანგარიშიდან;
 - 8.3.3. ბანკის წინაშე არსებული მიწოდებლის ვალდებულებები გაქვითოს მიწოდებლის წინაშე არსებულ ბანკის ნებისმიერ ვალდებულებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 8.4. ბანკი პასუხს არ აგებს და მის მიმართ არ შეიძლება წარდგენილი იქნას რაიმე მოთხოვნა მიწოდებელი პროდუქტის ხარისხზე, მათ შორის, ნივთობრივ ან/და უფლებრივ ნაკლზე, კლიენტის ნებისმიერი პრეტენზია პროდუქტის ნივთობრივ ან/და უფლებრივ ნაკლზე უნდა წარედგინოს უშუალოდ მიწოდებელს;
- 8.5. ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას განვადების გაცემის თაობაზე. ბანკს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე პასუხისმგებლობა განვადების გაცემაზე უარის თქმის გამო;
- 8.6. თუ კლიენტის შესაგებლის საპასუხოდ მოხდება პროდუქტის ღირებულების შემცირება, მიწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ბანკს სხვაობა ღირებულებებს შორის, საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის თანხის გათვალისწინებით;

9. ხელშეკრულების მოქმედება და მოქმედების შეწყვეტა

- 9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ერთ-ერთი მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულების მოქმედება ყოველ ჯერზე ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადითა და პირობებით.
- 9.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

- 9.2.1. **ბანკის** მიერ ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, მათ შორის თუ **მიმწოდებელი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას;
- 9.2.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;
- 9.2.3. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 9.3. იმ შემთხვევაში, თუ **მიმწოდებელი კანონმდებლობის** საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს **ხელშეკრულების** მოქმედების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **ხელშეკრულების** მოქმედება უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **ბანკს** მიზანშეწონილად მიაჩნია **ხელშეკრულების** მოქმედების უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **ხელშეკრულების** მოქმედება შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.
- 9.4. **ხელშეკრულების** მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში:
 - 9.4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია უზრუნველყოს **კლიენტისთვის პროექტის** გადაცემა, იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** მოქმედების შეწყვეტის მომენტში **ბანკს** და **კლიენტს** შორის გაფორმებული იყო **საკრედიტო ხელშეკრულება**; ამასთან ერთად, **მიმწოდებელი** ვალდებულია გადაუხადოს **ბანკს საკომისიო**;
 - 9.5. **ხელშეკრულების** მოქმედების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მიმწოდებელს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე, მათ შორის და არამარტო, **ხელშეკრულების** მოქმედების შეწყვეტის მიუხედავად ძალაში რჩება ზიანის/ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პუნქტების მოქმედება მათ სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
 - 9.6. თუ **ხელშეკრულების** მოქმედების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

10. კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

- 10.1. **კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავება, გადაცემა/გამოთხოვა და განახლება/შენახვა.** **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირს(ებს)** არ გადასცეს **კონფიდენციალური ინფორმაცია**.
- 10.2. **კონფიდენციალურ ინფორმაციას** არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც თაობაზე არსებობს **კონფიდენციალური ინფორმაციის** მესაკუთრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირს(ებს)** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;
- 10.3. **მიმწოდებლისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის შედეგად **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **მიმწოდებლის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაციის** (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება.
- 10.4. **მიმწოდებელი ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **მიმწოდებლის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:
 - 10.4.1. **ბანკმა კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მომსახურების შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად **მესამე პირებს** (მათ შორის და არამარტო, მაკონტროლებელ/საზედამხებდებლო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს) გადასცეს ან/და **მესამე პირებისაგან** მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **მიმწოდებლის** კონფიდენციალური ინფორმაცია/პერსონალური მონაცემები.
 - 10.4.2. **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაცია ბანკის ავილირებულ** ან სხვა ნებისმიერ **მესამე პირებს** მათ მიერ სხვადასხვა მომსახურების შეთავაზების მიზნით.
- 10.5. **ბანკის** მიერ წინამდებარე მუხლში აღნიშნული **მიმწოდებლის** ინფორმაციის შენახვა მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.
- 10.6. **მიმწოდებლის** მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში მიაწვდის **მიმწოდებელს** მის შესახებ **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის მიღებაზე **ბანკს** ცალმხრივად აქვს უფლება დააწესოს მომსახურების ტარიფი საკომისიოს სახით.
- 10.7. თუ **მიმწოდებელი** თვლის, რომ **მიმწოდებლის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.
- 10.8. **პერსონალური მონაცემების დაცვა.**
 - 10.8.1. **მხარეთათვის** ცნობილია, რომ წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობებიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - **კანონი**) მიზნებისთვის შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც **კლიენტს(ებს)** პერსონალურ მონაცემთა დამუშავებელს, ასევე უფლებამოსილ პირს ან ორივე მათგანს ერთდროულად, ამდენად, თითოეული **მხარე** იღებს ვალდებულებას შესაბამისობაში იყოს ხსენებული კანონის მოთხოვნებთან და მკაცრად დაიცვას ქვემოთ მოცემული პირობები:
 - 10.8.1.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება განახორციელოს **კანონით** განსაზღვრული საფუძველებით და პრინციპების დაცვით;
 - 10.8.1.2. დანერგოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, დაზიანებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უნებართვო ან უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დასაცავად;
 - 10.8.1.3. უზრუნველყოს საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ინფორმაციის შენახვა და გაცემა დაცული საკომუნიკაციო არხის მეშვეობით;
 - 10.8.1.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლობენ და აღმოუჩენენ ერთმანეთს დახმარებას წინამდებარე **ხელშეკრულების** მიზნებისათვის **კლიენტის** მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით წარდგენილ საჩივრებსა თუ განცხადებებზე, ასევე საზედამხედველო ორგანო(ებ)ის მომართვებზე რეაგირებისთვის;
 - 10.8.1.5. თუ მონაცემთა დამუშავების პროცესში, მონაცემთა დამუშავების სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი **მხარე** წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებელს ან/და ინფორმაციის გამცემს, ხოლო მეორე **მხარე** უფლებამოსილ პირს ან/და ინფორმაციის გამცემს, უფლებამოსილი პირი ან/და ინფორმაციის გამცემს ვალდებული იქნება:
 - 10.8.1.6. მიიღოს ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომა, ასევე განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, დაზიანებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უნებართვო ან უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დასაცავად; აღრიცხოს პერსონალურ მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება და უზრუნველყოს შესაბამისი მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობა;

- 10.8.1.7. მონაცემები დაამუშავოს იმ ვადით, მოცულობით, მიზნით და ფარგლებში, რაც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესასრულებლად ან გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან მარეგულირებლის მოთხოვნით;
- 10.8.1.8. ხელი შეუწყოს მონაცემთა დამუშავებელს/მონაცემთა გამცემს, მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის//მონაცემთა მიმღების მიერ მონაცემთა დამუშავებას;
- 10.8.1.9. არ გადასცეს მონაცემთა დამუშავების უფლება სხვა პირს მონაცემთა დამუშავებლის/მონაცემთა გამცემის ან მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 10.8.1.10. არ განახორციელოს პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გამჟღავნება/გადაცემა გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;
- 10.8.1.11. სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში გაზიარებული ინფორმაცია ექვემდებარება წაშლას/განადგურებას მონაცემთა დამუშავებლის/მონაცემთა გამცემის მოთხოვნის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ასევე უფლებამოსილი პირის ან/მონაცემთა მიმღების მიერ იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება (გაზიარებულ იქნა) მონაცემები. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომლის შენახვის ვალდებულებას მხარეებ მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს.
- 10.8.1.12. ყოველგვარი ექვემდებარების გამოსარიცხად, მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მუხლის არც ერთი დებულება არ ზღუდავს მხარეს განახორციელოს იმ ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომლის დამუშავების საფუძველი, მას, როგორც მონაცემთა დამუშავებელს, აქვს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ან/და მონაცემთა სუბიექტთან (კლიენტთან) დამოუკიდებლად არსებული შესაბამისი ხელშეკრულების/თანხმობის საფუძველზე.
- 10.8.1.13. თითოეული მხარე სრულად იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერ ზიანსა და ხარჯზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით მხარის მიერ წინამდებარე მუხლით განსაზღვრული რომელიმე პირობის განზრახვი ან გაუფრთხილებელი დარღვევით.
- 10.8.1.14. კონფიდენციალური, მათ შორის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

11. პრეტენზიები და დავები

- 11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.
- 11.2. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს ზანკის ადგილობრივი სასამართლოს მიხედვით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიყვებული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

12. სხვა პირობები

- 12.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა (გარდა საკომისიოს ცვლილებისა) დასაშვებია წერილობითი ფორმით მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.
- 12.2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი ზანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებს) სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- 12.3. ზანკი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს როგორც პირადად, ასევე მესამე პირების მათ შორის ქვეკონტრაქტორების მეშვეობით;
- 12.4. ხელშეკრულების მოქმედება სრულად ვრცელდება მხარეებზე, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლელებზე.
- 12.5. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.
- 12.6. პროდუქტის დაფინანსების მიზნით თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობებისა და მის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ შეთანხმებას შორის წინააღმდეგობისას, უპირატესობა ენიჭება ამ პირობების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ შეთანხმებას.
- 12.7. ხელშეკრულების თითო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.